



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აპრილი, 2022 წელი



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - გიორგი

გვარი - ბრეგვაძე



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 212693049 |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|----|--|--|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹ | გეოგრაფია |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 3 | კვალიფიკაციის დონე ² | მე-6 |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | გეოგრაფიის ბაკალავრი |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³ | - |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴ | 0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| 9 | განხორციელების ადგილი ⁵ | საქართველო, 4600, ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, სასწავლო კორპუსი №1 |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული №258055, 19.03.2021 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2021 წლის 4 მარტი |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 2022 წლის 4 მარტამდე |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2028 წლის 6 მარტი |

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | ✓ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ✓ | | | |

შესასრულებელი რეკომენდაციები⁶

1. დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება აღწერილი შემოსავლები, ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის დაფარვის წყაროები;

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



2. სავლე პრაქტიკებში აქტიურად უნდა მოხდეს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და დისტანციური ზონდირების (საჰაერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი) გამოყენება;
3. მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს სავლე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება და ა. შ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია წარმოადგინა 2022 წლის 24 თებერვალს, რაც შესაბამისობაშია საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადასთან. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო სამუშაოები ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ. აღსანიშნავია, რომ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულებისათვის განსაზღვრული დრო, ერთი წელი, სავსებით საკმარისი იყო ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის, პროგრამაში და სილაბუსებში შესატანი ცვლილებებისა და შესრულების შესაბამისი დოკუმენტების მომზადებისათვის. სამი რეკომენდაციიდან ერთი ეხებოდა პირველ სტანდარტს, ერთი რეკომენდაცია მეორე სტანდარტს, ხოლო ერთი რეკომენდაცია მეოთხე და მეხუთე სტანდარტს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულიად არის შესრულებული.

რჩევები⁸

1. პროგრამის მიზნები განსაზღვრობი და დასაკონკრეტებელია, რათა პირველ რიგში გასაგები იყოს იმ სტუდენტებისთვის ვინც აბარებენ ამ პროგრამაზე. იგივე რჩევა იქნა მიცემული დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციაშიც. ასევე განსაზღვრობია დასაქმების ბაზრის აღწერა, ვინაიდან როგორც დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, დასაქმების ბაზარი უფრო ფართოა ვიდრე ეს ნაჩვენებია პროგრამის აღწერაში;
2. სასურველია შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე, რათა მკაფიოდ ჩანდეს თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი კვალიფიკაცია, პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
3. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, რათა გასაგები იყოს სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების სფეროები და დონე;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



4. სასურველია კურიკულუმის ანალიზის რუკის მონაცემებში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების შედეგების ჩართვა;
5. სილაბუსებში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;
6. კალკულუსის სილაბუსი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი მათემატიკის საკთხების საკმაოდ სტანდარტიზირებულ ჩამონათვალს, რთული დასაძლვი იქნება სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვისაც არ აქვს ჩაბარებული მისაღები ეროვნული გამოცდა მათემატიკაში. ჩვენი რჩევა იქნება რომ პროგრამაში განიხილონ პრეკალკულუსის სილაბუსის დამატება, რაც საშუალებას მისცემს შეავსოს სტუდენტის ცოდნა მათემატიკაში და მოამზადოს კალკულუსის დონისათვის;
7. გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ცალკე სილაბუსი, რაც თავისთავად საჭიროა GIS-ის როგორც გეოგრაფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ტექნიკური და კონცეფტუალური მხარის ასათვისებლად, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია მოხდეს GIS-ის აპლიკაციების ინტეგრაცია სხვა სილაბუსებში და მისი ინტენსიური გამოყენება სხვადასხვა გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრაში, მიღებული შედეგების კარტოგრაფიულ ვიზუალიზაციაში;
8. თანამედროვე გეოგრაფიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს დისტანციური ზონდირება, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით თავისუფლად ხელმისაწვდომია აერო და კოსმოსური ორთოსურათები (მაგალითად Google Earth, Bing Maps, ArcMap Baselayer), ატიურად ვითარდება და ხელმისაწვდომი გახდა უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ახლო მანძილის აერო გადაღებებში. ჩვენი რჩევა იქნება, რომ არსებულ პროგრამაში დაემატოს დისტანციური ზონდირების სილაბუსი, თუნდაც არჩევითი საგნის დონეზე;
9. სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განსავითარებლად სასურველია განიხილოთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის დამატება პროგრამაში. აღნიშნული სილაბუსი ასევე კარგ თანხვედრაში მოდის სტუდენტურ კონფერენციებთან, რომელსაც ყოველწლიურად მართავს აწსუ, სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით. ეს სილაბუსი ასევე შეიძლება დაუკავშირდეს საველე პრაქტიკებს, და სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი, მათ მიერ მოხდეს მასალის შეგოვება უშუალოდ საკუთარი საბაკალავრო კვლევისთვის;
10. სასურველია სწავლების მეთოდები უფრო განივრცოს, რათა გასაგები გახდეს პირველ რიგში სტუდენტებისათვის, მაგალითების დონეზე ნაჩვენები იყოს კავშირი კონკრეტულ სილაბუსებთან;
11. სასურველია მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის;
12. იქედან გამომდინარე, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „გეოგრაფიის ბაკალავრი“, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების სექტორად განიხილება



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სასურველია საზოგადოებრივი გეოგრაფიის არჩევითი კურსებიდან ზოგიერთი კურსი დაემატოს ძირითადი კურსების ჩამონათვალს;

13. აკადემიური წერის სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგებიდან ამოღებულ იქნას პასუხიმგებლობის და ავტონომიურობის უნარი, ვინაიდან 3 კრედიტის მოცულობის საგნით შეუძლებელია ამ შედეგის, თუნდაც, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, გაზომვა და დემონსტრირება, მითუმეტეს, როცა პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

| | |
|--------------------------------------|---|
| სტანდარტის დასახელება ¹² | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
| კომპონენტის დასახელება ¹³ | 4.4. პროგრამის/ვაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| რეკომენდაცია I ¹⁴ | დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება აღწერილი შემოსავლები, ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის დაფარვის წყაროები; |

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



| | |
|-----------------------|---|
| შეფასება | <p>რეკომენდაცია შესრულებულია, აწესებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა კვლევით ორგანიზაცია „LUMEN“-თან ერთად ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიზანი იყო კონკრეტული ამოცანების შესახებ პასუხების მიღება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ დამოკიდებულება და ცნობადობის ხარისხი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების სამუშაოზე აყვანის პრაქტიკა/გამოცდილება და სიხშირე; შერჩეული კურსდამთავრებულების შერჩევის პროცესი (სირთულეების შესწავლა); შრომის ბაზარზე გეოგრაფიის დარგის მიმართულებით მოთხოვნადი პროფესიებისა და პროფესიული კომპეტენციების, (შრომისა და განათლების ბაზრის) განსაზღვრა; დამსაქმებელთა დამოკიდებულებების შესწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და ზოგადად, უმაღლესი განათლების ხარისხის მიმართ და ა.შ.; კადრების შერჩევისას ორგანიზაციათა/საწარმოთა მიერ გამოყენებული ან აქტუალური ინფორმაციის წყაროებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ოპტიმალური საკომუნიკაციო არხების შესწავლა. კვლევის შედეგებით, სხვადასხვა დაწესებულებებში მაღალი პოპულარობით იმ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების დასაქმება გამოირჩევა, რომელთა პოპულარობაც, მათი დასახელების სიხშირით გამოიკვეთა. კვლევამ აჩვენა, რომ დამსაქმებელთა 30,5%-ის გადმოცემით, მათ ორგანიზაციებში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან დასაქმებულნი. შემუშავდა საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „გეოგრაფია“ ბიუჯეტი, სადაც ნათლადაა აღწერილი შემოსავლები, პირდაპირი ხარჯები (აკადემიური პერსონალის ხელფასი, პრაქტიკის ხარჯი, სამეცნიერო/ კვლევის ხარჯი), არაპირდაპირი ხარჯები (ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური და საბიუჯეტო გადასახადები, ინფრასტრუქტურა, სხვა ხარჯი) და საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის დაფარვის წყაროები.</p> |
| რჩევა ¹⁵ I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ებ)ა | <ol style="list-style-type: none"> 1. შრომის ბაზრის კვლევა (დანართი 3); 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია“ ბიუჯეტი (დანართი 3); 3. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის |

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



| | |
|--|---|
| | წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება № 82, 21.12.2021 (დანართი 3). |
|--|---|

| | |
|-------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | 2.3. სასწავლო კურსი 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია II ¹⁶ | საველე პრაქტიკებში აქტიურად უნდა მოხდეს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და დისტანციური ზონდირების (საჰაერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი) გამოყენება. |
| შეფასება | რეკომენდაცია შესრულებულია, სასწავლო-საველე პრაქტიკაზე გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემებისა და დისტანციური ზონდირების აქტიურად გამოყენების მიზნით, სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა „შესავალი დისტანციურ ზონდირებასა და აერო ფოტოგრამმეტრიაში“. ასევე GIS ტექნოლოგიები გამოიყენება იმ სასწავლო კურსების სწავლების პროცესში, რომელიც ითვალისწინებს პრეზენტაციებს. ამასთანავე, 2021 წლის 15 ოქტომბრიდან – 15 დეკემბრამდე შუალედში, უნივერსიტეტის დაფინანსებით, გეოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენინგები დისტანციურ ზონდირებაში. ტრენინგი გაიარეს გეოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და გეოგრაფიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტებმა. ტრენინგებს უძღვებოდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, დოქტორანტი გ.კ. |
| რჩევა ¹⁷ II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ებ)ა | 1. აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (20/21) 17.09. 2021 (დანართი 1) 2. სასწავლო კურსის – „შესავალი დისტანციურ ზონდირებასა და აერო ფოტოგრამმეტრიაში“ სილაბუსი (დანართი 1) 3. ცნობა ჩატარებული ტრენინგების შესახებ (დანართი 2) 4. სასწავლო კურსის სილაბუსები (დანართი 1) |

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



| | |
|--------------------------------|--|
| სტანდარტის დასახელება | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება | 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები |
| რეკომენდაცია III ¹⁸ | მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს საველე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება და ა. შ. |
| შეფასება | რეკომენდაცია შესრულებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში მითითებულია რომ, სტუდენტი საველე მუშაობის დროს დამოუკიდებლად ორიენტირებს, აგროვებს საველე კვლევით მასალას, ახდენს მათ დამუშავებას და მიღებული შედეგების კარტოგრაფირებას GIS გამოყენებით, ამასთანავე გაიზარდა დასაქმების სფეროების ჩამონათვალი, კერძოდ: მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად გეოგრაფიის ბაკალავრები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამის უწყებებში, გეგმარებით და ტურისტულ დაწესებულებებში; ჰიდრომეტეოროლოგიური, ამინდის პროგნოზისა და სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურებში; სხვადასხვა დონის (ცენტრალური თუ ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში. შეეძლება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ხასიათის გეოგრაფიულ კვლევით პროექტებში (კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვის, მიწის კადასტრის და ა.შ.). პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ გეოგრაფიის ბაკალავრი შეძლებს სწავლის გაგრძელებას სწავლების მეორე საფეხურზე, გეოგრაფიის, კარტოგრაფიის, ტურიზმისა და სხვა მომიჯნავე სპეციალობების მაგისტრატურის პროგრამებზე. |
| რჩევა ¹⁹ III | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ებ)ია | საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“ (დანართი 1) |

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



თანდართული დოკუმენტაცია²⁰

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში - 13 ფურცელი
- დანართი 1 - პროგრამა და სილაბუსები - 74 ფაილი
- დანართი 2 - დიტანციური ზონდირება - 3 ფაილი
- დანართი 3 - ბიუჯეტი. შრომის ბაზრის კვლევა - 3 ფაილი

ექსპერტის ხელმოწერა

²⁰თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა